



2014-2015 წწ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

იანვარი
2016 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



შესავალი	3
I. ოკუპირებული ტერიტორიები.....	3
1.1. აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა	3
1.2. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები	5
1.3. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია.....	7
1.4. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.....	10
1.4.1. ჯანდაცვა.....	10
1.4.2. განათლება	11
1.4.3. სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები	12
1.4.4. კულტურული მემკვიდრეობა.....	12
1.4.5. ნეიტრალური დოკუმენტები	13
1.4.6. საკოორდინაციო მექანიზმი	14
1.4.7. ევროსაბჭოს პროექტები	14
1.5. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია.....	16
1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება	16
II. სამოქალაქო ინტეგრაცია.....	19
2.1. განათლება და სახელმწიფო ენა	22
2.2. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.....	24
2.3. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა.....	25
2.4. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია.....	26
2.5. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება	27
2.6. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე	28

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში შედის ორი ძირითადი მიმართულება - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა და მასში მონაწილეობა; და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციას წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია. აპარატის ბიუჯეტი, რომელიც 1, 350 მლნ. ლარს შეადგენს, არ ითვალისწინებს კონკრეტული პროექტების განხორციელებას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით.

I. ოკუპირებული ტერიტორიები

1.1. აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა

კონფლიქტების მოგვარების სფეროში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რისთვისაც საქართველოს მთავრობამ მშვიდობიანი, ღია, პრაგმატული და კონსტრუქციული კურსი აირჩია.

მთავრობამ გადადგა მთელი რიგი ცალმხრივი ნაბიჯები, რომელიც მიზნად ისახავს, წლების განმავლობაში შექმნილი გაუცხოვების შემდეგ, გაჩნდეს ნდობის აღდგენისა და გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.

2013 წლის 7 მარტს, ახალი მოწვევის პარლამენტმა თავის რეზოლუციაში „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით გაამყარა ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაცხადებული ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულება. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულება 2014 წელს რატიფიცირებულ „საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც“ გაიწერა.

*“საქართველოს მთავრობამ
მშვიდობიანი, ღია, პრაგმატული
და კონსტრუქციული კურსი
აირჩია”*

ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები, რათა საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, უკეთ მისადაგებოდა ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებს. ასევე, მთავრობამ

გაამარტივა ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის ნებართვის გაცემის პროცედურა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კონსულტაციის შემდეგ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის ნებართვის ბრძანებით გაცემის უფლებამოსილება, მთავრობის აქტის საწარმოოდ, კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ მინისტრს მიენიჭა. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ აფხაზებსა და ოსებს შესთავაზა პირდაპირი დიალოგი, რის თაობაზეც 2013 წლის 8 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა.

2014 წლის პირველი იანვრიდან შეიცვალა უწყების სახელწოდება - „სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში“. ახალი სახელწოდების ინიცირებით, ქართულმა მხარემ გამოხატა მზადყოფნა ნდობის აღდგენისა და პირდაპირი დიალოგის წარმოებისათვის და უფრო რეალისტურად ასახა აპარატის საქმიანობის მეორე, მნიშვნელოვანი - სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულება.

გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მშვიდობისა და განვითარებისათვის სივრცის შექმნისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელთაც მავთულხლართებისა და ხელოვნური გამყოფი ხაზების სიახლოვეს, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების ფონზე რთულ ვითარებაში უწყვეტ ცხოვრება. სოფლების უმეტესობაში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი, მოსახლეობის პრობლემების გაცნობა და საჭიროებათა პრიორიტეტული ანალიზი. მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირების მიზნით, 2013 წლის ოქტომბერში შეიქმნა უწყებათშორისი სამთავრობო კომისია, რომელსაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად თანათავმჯდომარეობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. კომისიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის განახორციელა როგორც საბიუჯეტო სახსრების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების დახმარების მობილიზება. იგეგმება ზემოხსენებული რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული არაერთი პროექტის განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად, შემცირდა ინციდენტების რაოდენობა გალის რაიონში და დამაბულობის კერები გამყოფი ხაზის გასწვრივ. სახელმწიფოს ღია პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გადაადგილების ზრდის

პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დანარჩენი საქართველოს მიმართულებით. მაგალითისთვის, სამედიცინო დახმარების მსურველთა რიცხვი ზემოხსენებული რეგიონიდან გაოთხმაგდა. უფასო ჯანდაცვის მომსახურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ისევე როგორც, განათლების შესაძლებლობები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, მთავრობის ჩართულობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც წარმატებით ხორციელდება.

თუმცა, რუსეთის მიერ მავთულხლართების აღმართვის ინტენსიფიკაციამ, რომელიც ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო, და ამასთანავე, აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების ანექსიისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა ახალი გამოწვევები წარმოქმნა.

რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის ხელისუფლებას შორის 24 ნოემბერს გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულება არის ისეთივე უკანონო, როგორც მანამდე გაფორმებული სხვა ე.წ. ხელშეკრულებები და მას საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს. რუსეთის ეს ნაბიჯი 2008 წლის აგვისტოში დაწყებული ოკუპაციის რეალიზაციაა, რაც მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისთვის წინაპირობების შექმნას. ეს - რუსეთის ღია გამოწვევაა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის, ევროპული მისწრაფებებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ურყევი და უცვლელია.

„მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად შემცირდა ინციდენტების რაოდენობა გალის რაიონში და დამაბულობის კერები გამყოფი ხაზის გასწვრივ“

1.2. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფს, სადაც განიხილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი, ჟენევის დისკუსიებში განსახილველ სხვა საკვანძო თემებთან ერთად (მაღის გამოუყენებლობის ვალდებულება და საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმები) პოლიტიკური ელფერს იძენს საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან. ქართული მხარის პოზიცია, რაც გამყარებულია მზარდი საერთაშორისო მხარდაჭერით, საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი ცივილური ნორმებით, არის პრინციპული ამ საკითხთან მიმართებაში, რომელიც იქნება დღის წესრიგში,

ვიდრე არ მოხდება ამ განუყოფელი უფლების ირგვლივ არსებითი განხილვა და პროცესის იმპლემენტაცია.

ზემოაღნიშნულ საკითხთა შორის განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა უფლებრივი მგდომარეობა, მათთვის აქტუალური ყოფითი და

„ქენევის დისკუსიების დღის წესრიგში მუდმივად დგას ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების შესრულების, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხები“

ჰუმანიტარული საკითხები. გადაადგილების თავისუფლების საკითხი, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური დაბრკოლებების შედეგად სამეურნეო მიწებსა და სავარგულებზე წვდომის, ნათესავებთან კონტაქტის შეზღუდვის, სამედიცინო და სხვა

საჭიროებისათვის გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისათვის ოკუპაციის პირობებში არსებული შეზღუდვების მოხსნის და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზების ძიება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც თავის მხრივ, ერთიანი დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისაკენ მიმართული სტრატეგიის ნაწილია. ქენევის საერთაშორისო დისკუსიების ჰუმანიტარულ ჯგუფში ბოლო რაუნდების განმავლობაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რაიონებში არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლადი სწორედ გალისა და ახალგორის მოსახლეობაა.

საქართველოს დელეგაციისათვის, გალში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის საკითხი განხილვის ერთ-ერთი უმწვავესი თემაა, მიიღება ყველა საჭირო ზომა საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების და მხარდაჭერის მოპოვების კუთხით. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხი ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებთან ერთად, რაც ხშირად სწორედ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის პროცესად წარმოჩინდება, ქართული დელეგაციის დღის წესრიგის ძირითადი თემაა. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გაგრძელდება მუშაობა ადგილზე საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით. (სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა, გადაადგილების თავისუფლება, მოსწავლეთა შეუფერხებელი გადაადგილება გამყოფი ხაზზე ორივე მიმართულებით).

ამასთან, ქენევის საერთაშორისო დისკუსიებზე განხილულ საკითხთა შორისაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ამ მიმართულების ექსპერტთა თანამშრომლობის საკითხები.

„ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში აქტიურად განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტი“

გარემოს დაცვის, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და სხვა ყველა ის საკითხი, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. ზემოჩამოთვლილი საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა და

გარკვეული თანამშრომლობა, რაც ქართული მხარის კონსტრუქციული და ჰუმანიტარული მიდგომების პირობებში და ასევე საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერით გაგრძელდება და განვითარდება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურადაა ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მუშაობაში. აპარატის წარმომადგენლები ესწრებიან ერგენტში თვეში ერთხელ გამართულ შეხვედრებს (გალში შეხვედრები არ ტარდება აფხაზური მხარის სუბიექტური მოსაზრებების გამო). აღნიშნულ ფორმატში განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დაკავება და დაპატიმრება გამყოფი ხაზის ”უკანონო გადაკვეთის” ბრალდებით. ამას გარდა, IPRM-ის შეხვედრებზე დასმულ საკითხებს შორისაა ყაჩაღობის, ძალადობის, სხვადასხვა სამუშაოზე უსასყიდლოდ იძულებით გაყვანის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების დასაკუთრების შემთხვევების განხილვა და შეძლებისდაგვარად მოგვარება.

მართალია, ე.წ. „საზღვრის დარღვევისათვის“ უკანონო დაკავებები გრძელდება, თუმცა სწორად წარმართული მოლაპარაკებების და მიღწეული შეთანხმებების შედეგად ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. შედეგად, დაკავებულების უმეტეს ნაწილს სწრაფად ათავისუფლებენ, ეფექტურად გამოიყენება „ცხელი ხაზი“.

1.3. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან სამშვიდობო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის სრულ მხარდაჭერაზე დაყრდნობით. სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რამდენიმე ფორმატში, რომლებშიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რამეთუ იგი ქმნის შესაძლებლობებს კონფლიქტის მოგვარების სფეროშიც. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს ევროინტეგრაციის პროცესით წარმოქმნილი სარგებელის ხელმისაწვდომობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის; ამ მიმართულებით იდგმება კონკრეტული ნაბიჯები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის მოლაპარაკებების პროცესში; შემუშავდა დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

კონფლიქტის მოგვარების ნაწილში ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას, ეფექტიანი თანამშრომლობისა და კოორდინაციის ინტენსიფიკაციას არამხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ოპერაციულ დონეზე, სტრატეგიული შეხვედრების ჩატარებას, კონფლიქტის გადაწყვეტისა და ჩართულობის მექანიზმების ერთობლივ შემუშავებას, კონსულტაციების გამართვას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში ჩასართავად გზების მოძიების მიზნით.

დღის წესრიგი ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას, ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მხარდაჭერას და ადგილობრივი ინიციატივების წახალისებას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად 2015 წლის 2 ივნისს თბილისში გაიმართა ასოცირების საბჭოს მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის სხდომა, რომელიც ასოცირების შეთანხმების ამოქმედების

„მნიშვნელოვანი ამოცანა იყო და არის, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით შექმნილი სარგებელის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის“

შედეგად ჩამოყალიბებული საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ახალი ინსტიტუციური ჩარჩოს ნაწილია. სხდომაზე განხილული იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, მიმდინარე გამოწვევები და პრობლემური საკითხები, აგრეთვე ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, კერძოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის გაწეული დახმარება, მიმდინარე პროექტები და შეთავაზებული სარგებელი, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში.

რეგიონულ დონეზე უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევა განხილულ იქნა ასევე 2015 წლის 1 აპრილს საქართველოსა და ევროკავშირს შორის უმაღლეს დონეზე პოლიტიკური კონსულტაციების ფორმატში. მონაწილეებმა იმსჯელეს რუსეთის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ რეგიონებთან აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ხელმოწერილი ე.წ. „ხელშეკრულებების“ შესაძლო შედეგებზე, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის ფარგლებში არსებული გამოწვევებსა და ჩართულობის პოლიტიკის ასპექტებზე, ასევე ევროკავშირის როლზე კონფლიქტის მოგვარებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევების ფონზე, ხელი შეუწყოს ადგილზე ევროკავშირის უწყვეტ ჩართულობას არაღიარების პოლიტიკის ერთიანი ქოლგის ქვეშ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში, აწარმოა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი ჩართულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, მიუხედავად იმ დიდი ზეწოლისა და შეზღუდვებისა, რომელსაც ისინი აწყდებიან ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის კუთხით. საყურადღებოა, გასული სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების თემატიკაზე წამოწყებული დამატებითი 149 პროექტი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით, შექმნილი სარგებელი ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით შექმნილ შესაძლებლობებში ოკუპირებული რეგიონების მეტი ჩართულობისთვის.

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების რეალური პერსპექტივა წარმოადგენს ევროინტეგრაციის კიდევ ერთ ხელშესახებ სარგებელს, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხედვით, თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის. უწყების პროგნოზით, გაიზრდება ქართული პასპორტის ალების ფაქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა შორის.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეასრულა საშინაო დავალება და თავისი წვლილი შეიტანა ევროკავშირი-საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის წარმატებით დასრულებაში.

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგიის განხორციელებაში. სახელმწიფო მინისტრის აპარატის განხორციელებულ ღონისძიებებს შორისაა: ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე სარეკლამო რგოლების მომზადება და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაშვება (პრაიმ-ტაიმის დროს) უმცირესობათა 4 ენაზე, მათ შორის აფხაზურად და ოსურად; ასევე ამავე ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები.

1.4. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - მოსახლეობა სარგებლობდეს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. ამ მიზნით გაგრძელდა ჩართულობის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები.

1.4.1. ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფასო მომსახურება წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მიმართულებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა. მასში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებნი განცხადებით მიმართავენ სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. ბოლო პერიოდის განმავლობაში უფასო სამედიცინო მომსახურებით ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ ჯანდაცვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია რეფერალური მომსახურებისა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამები“

მიუხედავად მავთულხლართებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. მკურნალობის მსურველთა 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მათ სიცოცხლის რისკის ფასად მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით უხდებათ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. ამასთანავე, გაზრდილია აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსულ რეფერალურ პროგრამაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა. საერთო ჯამში, ბოლო პერიოდის განმავლობაში მზარდი დინამიკა შეინიშნება. 2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე.

2015 წლის აპრილში საქართველოში ამოქმედდა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელში ჩართვაც საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთაც შესთავაზა. ეს უმნიშვნელოვანესი სიახლე და ის დამატებითი სიკეთეა, რაც მკირადღირებული მკურნალობის უფასოდ შეთავაზებას გულისხმობს და პირდაპირ უკავშირდება ათასობით ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის.

ბოლო პერიოდის განმავლობაში აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეროს განვითარების ფონდთან არსებული „საკოორდინაციო მექანიზმის“ ფარგლებში რეგულარულად მიეწოდებოდა სხვადასხვა მედიკამენტები და ვაქცინები, რომლის თვითღირებულება ჯამში 500 ათას ლარზე მეტს შეადგენს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

2013-2015 წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების ოდენობა დაახლოებით 11 მილიონი ლარია. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფ. რუხში მიმდინარეობს 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, საერთო საცხოვრებლის მქონე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების საავადმყოფოების გარდა დამატებით მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთ.

1.4.2. განათლება

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისების, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნისა და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს სპეციალურ “1+4” პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.

2015-2016 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან (გალის რაიონი და კოდორის ხეობა) 93 სტუდენტის სწავლა დააფინანსა სახელმწიფომ, ასევე გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლა კვლავ დაფინანსდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების ინიციატივები, რომელთა განხილვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ქვეყნის მოსახლეობისათვის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ევროპისა და აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების შესაძლებლობის მიცემა. როგორც აღინიშნა, ცენტრი განაცხადს იღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისაგანაც.

1.4.3. სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები

სოფ. რუხში დასრულდა სავაჭრო კომპლექსის მშენებლობა, რაც წახალისებს ვაჭრობას საოკუპაციო ხაზის გადაკვეთით. ვაჭრობის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ძალიან ბევრი მოქალაქე მიდის თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. მთავრობის მიზანია მოახდინოს მათი წახალისება დამატებითი სავაჭრო შესაძლებლობების შექმნის გზით.

„მიმდინარეობს მუშაობა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური დახმარების შეთავაზების თაობაზე“

მიმდინარეობს მუშაობა ინიციატივებზე, რათა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისთვის შეთავაზებულ იქნას დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური დახმარება.

1.4.4. კულტურული მემკვიდრეობა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება. ხდება უძველესი ნიმუშების მიზანმიმართული განადგურება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების ახალი - არაქართული სტილის ტაძრებით შენაცვლება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა დოკუმენტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის და აფხაზეთში „შავი არქეოლოგიის“ შესახებ. აღნიშნული მასალები გაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს. კულტურული ძეგლების ნუსხა განისაზღვრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო UNESCO-სთან შემდგომი მოლაპარაკებები წარიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის ექსპერტები. სახელმწიფო მინისტრის აპარატში გამართული სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე დაისვა UNESCO-ს საექსპერტო მისიის აფხაზეთში ჩასვლის და ძეგლების დათვალიერების, მათთვის სპეციალური მარშრუტის, ე.წ. „საგზაო რუკის“ შემუშავების საკითხი, ძეგლების შენახვისთვის აუცილებელი კომპლექსური სამუშაოების ჩატარების და საკონსერვაციო ობიექტების იდენტიფიცირების მიზნით. აქტიური და კოორდინირებული უშუალო და წერილობითი კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა პოზიცია - აღნიშნული საექსპერტო მისია შედგეს UNESCO-ს, ICOMOS-ის, ICCROM-ის და ICOM-ის გაერთიანებული წარმომადგენლობით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი არაერთხელ წარსდგა ანგარიშით საქართველოს პარლამენტის კომიტეტების წინაშე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის თაობაზე.

1.4.5. ნეიტრალური დოკუმენტები

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. გასული პერიოდის განმავლობაში სტატუს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი დამატებით აღიარა უნგრეთმა და რუმინეთმა. ამ ეტაპზე დოკუმენტი აღიარებულია 12 სახელმწიფოს, მათ შორის 9 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ. 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, გაიზარდა როგორც გაცემული ნეიტრალური პირადობის მოწმობის, ისე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის რაოდენობა, რომელიც შესაძლებელს ხდის საზღვარგარეთ ლეგიტიმურად გადაადგილებას.

1.4.6. საკოორდინაციო მექანიზმი

საკოორდინაციო მექანიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს თბილისსა და სოხუმს შორის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე კომუნიკაციისა და მნიშვნელოვანი გზავნილების გაჟღერებისთვის. ამგვარი გზავნილები შესაძლებელია მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ) ჰუმანიტარულ საჭიროებებს, მიმდინარე ან დაგეგმილ საერთაშორისო პროექტებზე ინფორმაციის მიწოდებას, საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და ა.შ.

2015 წელს საკოორდინაციო მექანიზმის მეშვეობით განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. კერძოდ, საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო და გაიხსნა აფხაზური კუთხე, სადაც განთავსდა აფხაზური ლიტერატურა და პერიოდიკა;
- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად მოხდა უნიკალური ისტორიული ძეგლისა და ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშის - მოქვის სახარების ბეჭდური გამოცემა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე, რომელიც გავრცელდა აფხაზეთის რეგიონში;
- სტამბოლში ჩატარდა ქართველი და აფხაზი ექიმების ერთობლივი ტრენინგი C ჰეპატიტის მკურნალობის თემაზე.

1.4.7. ევროსაბჭოს პროექტები

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2013-2015 წლების განმავლობაში ჩატარდა ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის რამდენიმე პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის შეხვედრებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე:

- ქართული და აფხაზური საზოგადოების ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა ქ. ვენეციაში, იტალია, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის თემაზე სემინარში მონაწილეობის მისაღებად;
- ქართველი და აფხაზი მასწავლებლების, ასევე ქართველი და ოსი მასწავლებლების ვიზიტი ქ. გრაეში, ავსტრია, უცხო ენების სწავლების მეთოლოგიის სემინარში მონაწილეობის მისაღებად;
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში ქართველი და აფხაზი ექსპერტების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი; სასწავლო ვიზიტი მაკედონიაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა

კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის მეთოდოლოგიის გაცნობა; ქართველი და აფხაზი ექსპერტების შეხვედრა სარაევოში, სადაც მოხდა საარქივო მასალების გადაცემა. პროექტი გრძელდება და მის ფარგლებში დაგეგმილია ქართველი და აფხაზი ექსპერტების შემდგომი შეხვედრები, ძეგლების მონახულება და ა.შ.

- ინგლისური ენის მასწავლებლების ტრენინგი სოხუმში ევროსაბჭოს ექსპერტების მონაწილეობით;

- ქართველი და აფხაზი მასწავლებლების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი, სამომავლო შეხვედრებისა და ვორქშოპების დასაგეგმად, რომელთა მიზანი იქნება გამოცდილების

*„ევროპის საბჭოს ნდობის
აღდგენის პროექტები
ითვალისწინებს გამყოფი ხაზის
ორივე მხარეს მცხოვრები
სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის
შეხვედრებს ნეიტრალურ
ტერიტორიებზე“*

გაზიარება და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის გაცნობა; აღნიშნული ვორქშოპები ჩატარდა 2015 წელს და შემდგომ წლებშიც იგეგმება;

- ადამიანის უფლებების თემაზე მომუშავე ქართული და აფხაზური სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლების, ასევე სახალხო დამცველების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი და სეგოვიაში, ესპანეთი, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების განსახილველად;

- აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობით, ასევე განხორციელდა თბილისიდან, ცხინვალიდან და სხვა ქალაქებიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში ბალკანური კონფლიქტების მოგვარების გამოცდილების შესასწავლად.

*„სახელმწიფო მინისტრის აპარატი
იყენებს ყველა ნეიტრალურ
პლატფორმას დაშორიშორებულ
საზოგადოებებს შორის ეფექტიანი
კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად“*

- ქართველი და ოსი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების შეხვედრა ვენეციაში, იტალია, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სემინარში მონაწილეობის მისაღებად;

- ქართველი და აფხაზი ახალგაზრდა ექსპერტების სასწავლო ვიზიტი სტრასბურგში, საფრანგეთი, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის

საკითხებზე;

- ქართველი და აფხაზი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრა სტამბოლში, თურქეთი, ოჯახური, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;

- მუზეუმების მენეჯმენტის საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების შეხვედრა ვენეციაში, იტალია, გამოცდილების გაზიარებისა და აფხაზეთის რეგიონში არსებული მუზეუმების მდგომარეობის განხილვის მიზნით;

- ასევე, 2015 წლის თებერვალში აფხაზეთის რეგიონში ჩატარდა ევროპული ლექციების

ციკლი ევროპული სტრუქტურების ფუნქციონირების თემებზე.

2015 წლის განმავლობაში ევროსაბჭოსთან ერთად განხორციელდა არაერთი ორმხრივი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი აქტუალური საკითხების განხილვას, როგორიცაა: სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია, ქალთა მიმართ ძალადობა და ადამიანის უფლებები, ნარკოტიკების პრევენცია და მკურნალობა, გარემოს დაცვა და ა.შ.

1.5. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია

სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა სახის ნეიტრალურ პლატფორმას და შესაძლებლობას დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. 2015 წლის თებერვალსა და ივნისში ლონდონში გაიმართა არაფორმალური შეხვედრა-დიალოგი ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის პოლიტიკოსების, ექსპერტების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამგვარი შეხვედრები გაიმართა ასევე 2015 წლის სექტემბერში ბერნში, შვეიცარია, და ბერლინში, გერმანია. შეხვედრებზე განიხილეს ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, გაანალიზეს მიმდინარე სიტუაცია, გაცვალეს მოსაზრებები და განიხილეს საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ცხოვრებაზე. შეხვედრაზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გამოეკვეთათ საზოგადოებების ინტერესები და პოზიციები, აგრეთვე, არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების მიმართ წარმოედგინათ თავიანთი ხედვები.

ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით პერიოდულად იმართება შეხვედრები ქართულ და ოსურ საზოგადოებებს შორის, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით, სადაც მიმდინარეობს აქტუალური საკითხებისა და პრობლემების განხილვა, მათი გადაჭრის გზების მოძიება. მსგავსი შეხვედრები შესაძლებლობას აძლევს საოკუპაციო ხაზით დაშორებულ საზოგადოების წარმომადგენლებს იქონიონ ეფექტური კომუნიკაცია და აღადგინონ ურთიერთობა.

1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება

2013 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების დახმარებაა. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეასრულა წამყვანი როლი მავთულხლართებისა და სხვა წინაღობების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათზე შემდგომ რეაგირებაში. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა გამყოფ ხაზთან მდებარე გორის, ქარელის, კასპისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების 77 სოფელში არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა საჭიროებათა შეფასების დოკუმენტი.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 4 ოქტომბერს შექმნა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომლის თანათავმჯდომარეები არიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. კომისიის წევრები პირადად ჩავიდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე თემებში და შეხვდნენ 48 სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას. კომისიის მუშაობის შედეგად:

- ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას (გორის, კასპის, ონის, საჩხერეს, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) 11 440 ოჯახს (50 სოფელი) გათბობით უზრუნველსაყოფად გადაეცა 200 ლარიანი ვაუჩერი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 2 288 000 ლარი;

- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული ოჯახების 471 სტუდენტს, რომლებიც ჩარიცხული არიან ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამებზე, დაუფინანსდა 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის საფასური. განათლების სამინისტროს წარდგინებით კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2014-2015 სასწავლო წელს გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლა კვლავ დაფინანსდეს;

- სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა სკოლები, განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები, პერსონალს და მოსწავლეებს დაურიგდათ პორტატული კომპიუტერები.

„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული ოჯახების სტუდენტებს დაუფინანსდა სწავლის საფასური“

განხორციელდა 600-ზე მეტი მოსწავლის სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

- სოფ. აბანოში აშენდა თანამედროვე საჯარო სკოლა, რომელიც გათვლილია 90 მოსწავლეზე;

- 9 სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები;

- უმეტეს სოფლებში გაიმართა საირიგაციო სისტემა;

- მიმდინარეობს 58 სოფლის (13,375 კომლი) გაზიფიცირება, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 19 მლნ. ლარი. გაზიფიკაციის სამუშაოები უკვე დასრულდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების უმრავლესობაში (16 სოფელში), ხოლო დანარჩენში სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს;

- აშენდა 20 ამბულატორია;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავეში სრულდება კლინიკის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება.
- ჩატარდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა სამუშაოები გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა დადგენისა და ქონების რეგისტრაციის მიმართულებით.

კომისიის ფარგლებში დაზარალებული მოსახლეობის აქტუალური პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მუშაობდა დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძოდ, გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის (UNHCR), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), იაპონიის საელჩოს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შექმნა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გაავრცელა ბროშურა და დოკუმენტური ფილმი, რომელიც დეტალურად ასახავს ბორდერიზაციის უარყოფით შედეგებს.

შედეგად, გაეროს და ევროკავშირის მიერ 1311 მოწყვლად ოჯახზე გაიცა 500 ლარის ოდენობის ფულადი დახმარება, ხოლო ზამთრის პერიოდში 700-ზე მეტ ოჯახს მიეწოდა თბოიზოლაციის საშუალებები. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევით განხორციელდა ეკონომიკური პროექტები; შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დახმარებით მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია. შიდა ქართლის მოსახლეობის დასახმარებლად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახორციელებდა მიკროეკონომიკურ პროექტს, რომლის ფარგლებში გაიცემა ფულადი გრანტები. ევროკავშირის და გაეროს დახმარებით სოფელ დვანში განხორციელდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში ჩატარებული ორმხრივი შეხვედრების დროს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან გაჟღერებული თხოვნის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ საქართველოს დასახმარებლად დამატებით გამოყოფილ 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პაკეტის მთავარ პრიორიტეტებს შორის მოხვდა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები პირების დახმარება, დაახლოებით 40 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტით, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემის, სარწყავი არხების, სადრენაჟო სისტემისა და სოფლის გზების რეაბილიტაციას. ზემოხსენებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად 4 ათასამდე ოჯახი ნახავს სარგებელს. დახმარება ითვალისწინებს ასევე შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენას გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები დაახლოებით 2000 განსაკუთრებულად მოწყვლადი ოჯახისთვის პროფესიული გადამზადების, ფინანსებისადმი წვდომისა და მიკროსამრეწველო დახმარების უზრუნველყოფის გზით.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით დასრულდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შიდა ქართლში გამოყოფილ ხაზის მიმდებარე 39 სოფლის 20 ათას ჰექტრამდე მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდა, რაც თავისმხრივ სარგებელს მოუტანს 18 ათას ოჯახს. 2008 წლამდე ტირიფონის საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ნაწილი სარგებლობდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ დე-ფაქტო ხელისუფლებამ არხი გადაკეტა, რის შედეგადაც უწყლოდ დარჩენილ სოფლებში მოსავლის მოყვანა შეუძლებელი იყო. სალთვისი-ტირიფონის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის შედეგად სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემა სრულად მოგვარდა.

გარდა ამისა, ხელისუფლების თხოვნისა და აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ეუთო-მ მოამზადა ორი პროექტი - სოფ. ნიქოზში შემომავალი დაბინძურებული წყლის გაწმენდასთან და სოფ. ზემო სობისის ჭაბურღილის მშენებლობასთან დაკავშირებით - და მოიძია საჭირო თანხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ წარმოებული მოლაპარაკებებისა და მიწოდებული სათანადო ინფორმაციის შედეგად თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მიერ სოფ. რენეში მოეწყო ახალი ამბულატორია, რომელიც აღიჭურვა სამედიცინო ინვენტარით.

II. სამოქალაქო ინტეგრაცია

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელება. ზემოხსენებული პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში. სახელმწიფო სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების მიმართ ითვალისწინებს აღებული ვალდებულებების თანდათანობით განხორციელებას.

ამ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინირებას უწევს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. შემწეობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმას 2014 წელს ვადა ამოეწურა, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა ახალი დოკუმენტი. ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებამდე

„სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგია ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და მიდგომას - „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფთან ერთობლივად მოამზადა წინა წლებში განხორციელებული პოლიტიკის შეფასების დოკუმენტი, რამაც საფუძველი დაუდო მთავრობის ახალი და უფრო ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ახალი

სტრატეგიული დოკუმენტი ეფუძნება წინა წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს და ითვალისწინებს არსებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #1740 განკარგულებით დამტკიცდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქალაქო ინტეგრაციის ახალ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი იყო ღია და გამჭვირვალე, რომელიც თავისმხრივ ქმნიდა აღნიშნულ სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური თანამონაწილეობის შესაძლებლობას. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა ეროვნული უმცირესობების საბჭოსთან, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან,

„სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილია სახელმწიფო უწყებთაშორისი კომისია“

პოლიტიკურ პარტიებთან და ექსპერტებთან, ასევე საკუთრივ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. დოკუმენტს საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისმა.

სტრატეგია ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ მიდგომას, და მიზნად ისახავს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას, ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან თანამონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათი კულტურისა და იდენტობის დაცვას.

კერძოდ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია:

- ემყარება წარსულ გამოცდილებას და ნერგავს ახალ მიდგომას, თუ როგორ უნდა იქნას მუშაობა წარმართული მიზნების ეფექტური მიღწევისათვის;
- ითვალისწინებს უფრო მეტ ინტერაქციას უმრავლესობასთან, რამეთუ სამოქალაქო ინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას მთლიანად ფარავს;
- განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების წვდომის გაუმჯობესებას გადაწყვეტილების პროცესისა და საზოგადოებრივი სერვისების მიმართ, რაც ასევე გულისხმობს ენობრივი ბარიერების გადალახვას;
- ითვალისწინებს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ეფექტიან განხორციელებას;
- ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მცირე ჯგუფების კულტურული (ლინგვისტური) უფლებების დაცვას;
- მოიცავს გენდერული კომპონენტის წარმოჩენას;
- განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბოშა მოსახლეობას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილია სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას: საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის სხდომები და სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა რეკომენდაციები. აგრეთვე, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა წლიური დეტალური სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები. მომზადებული ანგარიშები წარედგინა მთავრობას, ასევე ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, სამოქალაქო სექტორს. საქმიანობა წარიმართა კომისიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემატური სამუშაო ჯგუფებში. თემატურ სამუშაო ჯგუფების ფორმატში საქმიანობა ქმნის მეტი ჩართულობის შესაძლებლობას სხვადასხვა საკითხების განხილვის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა თუ აღნიშნულ სფეროში მომუშავე სხვა დაინტერესებული აქტორებისათვის.

ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ხაზს უსვამს ქვეყანაში ადამიანის უფლებების, თანასწორუფლებიანობის დაცვისა და განმტკიცების მნიშვნელობას. ასევე, დამტკიცდა „ადამიანის უფლებათა სტრატეგია და 2014-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა ამ დოკუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. დოკუმენტის მომზადების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა. 2015 წლის ივლისში მიღებული იქნა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი, რომელშიც განსაზღვრულია „ეროვნული უმცირესობების ენების“ ცნება და ასევე ამ ენების

გამოყენების შესაძლებლობები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში.

2014-2015 წლებში საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

2.1. განათლება და სახელმწიფო ენა

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა პროგრამები/პროექტები და სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

ზოგადი განათლება

- სახელმძღვანელოები ყველა საგანში I-დან VI კლასების ჩათვლით თარგმნილია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ თითოეულ მოსწავლეს სასწავლო მასალები გადაეცემა უფასოდ. VII-დან XII კლასამდე საგნების შესაბამისი სახელმძღვანელოები მომზადების პროცესშია.
- ეროვნული სასწავლო გეგმა ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ასევე შემუშავდა სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები. შესაბამისი ინსტრუქციები ისეთი დოკუმენტებისთვის, როგორებიცაა „მასწავლებელთა კარიერის დასაწყისი“, „პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა“, ასევე ითარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- ზოგადი განათლების დახმარების პროგრამის „სასკოლო ინიციატივის“ ქვე-პროგრამის ფარგლებში, კახეთის რაიონის სოფლებში - ფონაში, არამფერანსა და წიწკანაანთსერში - არსებულმა საჯარო სკოლებმა მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება ოსური ენის სწავლებისათვის.
- ქვემო-ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების სკოლებში დაინერგა სასწრაფო სამედიცინო დამხრებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურება.
- 2014-2015 წწ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ოლიმპიადაში სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია.

უმაღლესი განათლება

2010 წლიდან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის აპრობირებულია გამარტივებული სისტემა „1+4“ პროგრამა, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ცალსახად ზემოხსენებული პროგრამის შედეგია. სტატისტიკა: 2014 წელს 673 არაქართულენოვანი სტუდენტი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, 2015 წელს სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა - 741.

ცნობიერების ამაღლება/ინფორმირება

საანგარიშო პერიოდში განათლების მიმართულებით გაიმართა შეხვედრები ქვემო ქართლში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, მათ მიეწოდათ ინფორმაცია „1+4“ პროგრამის შესახებ. ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები არაქართულენოვანი სკოლებისა და ქართული ენის სახლების პედაგოგ-მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მარნეულში, დმანისში, გარდაბანში, ახალქალაქში, თბილისში. 2014 წლის ივნისში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად მარნეულში ჩატარდა აბიტურიენტთა პრეტესტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის 250 ახალგაზრდამ.

პროფესიული განათლება

ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით განახორციელა საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები.

სახელმწიფო ენა

საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება დაეთმო ქართული ენის სწავლებას. განხორციელდა არაერთი პროგრამა, რაც მიზნად ისახავდა ქართული ენის სწავლებას და მის გაუმჯობესებას არაქართულენოვან სკოლებში.

- I-XII კლასების მოსწავლეებისათვის შემუშავდა სახელმძღვანელო „ქართული, როგორც მეორე ენა“. სახელმძღვანელო მოსწავლეებს უფასოდ მიეწოდება.
- ელექტრონული პროგრამა - „ქართული, როგორც უცხო ენა“ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც სურს ქართული ენის შესწავლა.

2014-2015 წლებში გაგრძელდა პროგრამების „ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ განხორციელება, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. სახელმწიფო ენის სწავლების გარდა, პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა“ ითვალისწინებს სხვადასხვა კლასგარეშე საქმიანობას - სემინარების, კონკურსების, საზაფხულო ბანაკებისა და ასევე ქართული ენის კლუბების ორგანიზებას. 2014 წელს, 90 სკოლაში გაიხსნა ქართული ენის კლუბები, რაც მოიცავდა 3545 მონაწილეს (2625 მოსწავლეს, 484 მასწავლებელს და 436 ადგილობრივი თემის წევრს). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქართული ენის 78 მასწავლებელი გაიგზავნა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო-ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში. პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ გულისხმობს მასწავლებელთა/მოხალისე მასწავლებელთა მომზადებას და შემდგომში მათ გაგზავნას ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, რათა დახმარება გაეწიოს ქართული ენის სწავლებას და ადგილობრივ მასწავლებლებს. 2011 წლიდან აღნიშნულ რეგიონებში 600-ზე მეტი მასწავლებელი გაიგზავნა. ამჟამად, 285 მასწავლებელი (198 ასისტენტ-მასწავლებელი და 87 ინსტრუქტორი) მუშაობს 210 არაქართულენოვან სკოლაში. პროგრამა ფარავს არაქართულენოვანი სკოლების 91% ქვეყნის მასშტაბით.

„გაგრძელდა პროგრამების „ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ განხორციელება“

ზ. ჟვანიას სახ. საჯარო ადმინისტრირების სკოლა, საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურებისა და თვითმმართველობების დონეზე) აძლევს შესაძლებლობას გაიუმჯობესონ სახელმწიფო ენის ცოდნა.

ზ. ჟვანიას სახ. სკოლის რეგიონული ტრენინგ-ცენტრები ფუნქციონირებენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო-ქართლის და კახეთის რეგიონებში, სადაც საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, სკოლების ადმინისტრაციის წევრებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ დაესწრონ ქართული ენის გაკვეთილებს.

2.2. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე და მათ შესახებ გადაცემების მომზადებას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა ყოველდღიურად მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ. საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, ეთნიკური უმცირესობების 5 ენაზე (აფხაზური, ოსური,

სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხის ეთერში გადის ყოველ დღე.

2014 წლის ოქტომბრიდან საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა „რეალური დრო“ (რადიო თავისუფლებისა და „ამერიკის ხმის“ ერთობლივი პროექტი) ასევე გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ. ყოველკვირეული თოქ-შოუ „ჩვენი ეზო,“ რომელიც ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკისა და ტოლერანტობის თემებს ეხება, 2013-2014 წწ.

*„საინფორმაციო პროგრამა
საზოგადოებრივი მაუწყებლის
ეთერში გადის ეთნიკური
უმცირესობების ხუთ ენაზე“*

რეგულარულად გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. 2014 წლის ოქტომბრიდან იგი შეცვალა დოკუმენტური ფილმების სერიამ „მრავალეთნიკური საქართველო“.

ასევე, ყოველდღიურად გადაიცემა ახალი ამბები „პირველი რადიოს“ მიერ, ზემოხსენებული ეთნიკური უმცირესობების ენებზე, რასაც კვირაში ერთხელ ემატება გამოშვება ქურთულ ენაზე.

2014-2015 წწ. სახელმწიფო განაგრძობდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდვითი მედიის მხარდაჭერას.

2.3. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

2012-2014 წწ. ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიაწოდა, მათი არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- ყველა საჭირო მასალა ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- საარჩევნო პროცესის შესახებ წარიმართა ცნობიერების ამაღლების კამპანია ახალგაზრდა ამომრჩეველთათვის და ქალებისთვის;
- გაიმართა შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები გარდაბანში, მარნეულში, დმანისში, ახალციხეში, ახალქალაქში;
- ასევე, ცესკომ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლებებზე მომუშავე ათ არასამთავრობო ორგანიზაციას.

2.4. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

2014-2015 წლების განმავლობაში „სოციალური გარანტიების შესახებ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებისათვის ინფორმაციის მიწოდების“ პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებისა და სოციალური დახმარების შესახებ. (მომზადდა და დარიგდა მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე).

ს ჰეპატიტის ელემინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებთან კომუნიკაციის, ინფორმირებისა და პროგრამის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო კამპანია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის. შემუშავდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, როგორც სახელმწიფო, ისე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ბუკლეტები გავრცელდა სოციალური დაცვის სააგენტოს სამხარეო ფილიალებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. პროექტები ითვალისწინებდა გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციას; სასკოლო, სპორტული ინფრასტრუქტურის შეკეთებას/განახლებას.

*„ეთნიკური უმცირესობებით
კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში
გაგრძელდა სხვადასხვა სახის
ინფრასტრუქტურული პროექტების
განხორციელება“*

2015 წლის განმავლობაში:

ქვემო ქართლის რეგიონში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტები, ქ. რუსთავი) დაფინანსდა 62 პროექტი საერთო ღირებულებით 20 761 300 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 451 პროექტი საერთო ღირებულებით 6 719 669 ლარი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის, ადიგენის, ასპინძის მუნიციპალიტეტები) დაფინანსდა 35 პროექტი საერთო ღირებულებით 13 818 000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 387 პროექტი საერთო ღირებულებით 3 512 424 ლარი.

კახეთის რეგიონში (ახმეტის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები) დაფინანსდა 24 პროექტი საერთო ღირებულებით 4 344 000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 192 პროექტი საერთო ღირებულებით 1 850 598 ლარი.

ასევე, რეგიონებში განხორციელდა პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში.

2.5. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერდა ეთნიკური უმცირესობების კულტურული ცენტრებისა და თეატრების საქმიანობას. ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა კულტურული ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია, მულტიეთნიკური კულტურის ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ხუთი დასკვნითი კონცერტი (კლასიკური მუსიკა და ფოლკლორი). ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქვემო-ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, აჭარის რეგიონების ახალგაზრდებმა.

გასულ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში.

- 2014-2015 წწ. 50-მდე აზერბაიჯანელმა სტუდენტმა მოინახულა კახეთის რეგიონის ისტორიული ძეგლები. ქვემო ქართლის 20-მდე მოსწავლე იმყოფებოდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, პანკისის ხეობის მოსწავლეები კი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ასევე ლიტერატურულ-ისტორიულ-შემეცნებითი ღონისძიებები სოფ. ყარაჯალას, სოფ. დუისის საჯარო სკოლებში;
- სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებში დიდ ინტერესს იწვევს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა უწყებების საქმიანობას, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან მოისმინონ მათი ხედვა აქტუალურ საკითხებზე და წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით აღნიშნულ პერიოდში ახალგაზრდები ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან იმყოფებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის სახლში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, შსს-ს აკადემიაში.
- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით გაიმართა ლექცია-სემინარები საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გაიმართა ლექცია-სემინარები

და დისკუსიები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო, ახალციხისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ლექციების თემები იყო მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, ეროვნული უმცირესობების უფლებები საქართველოში, სახელმწიფოს პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით და სხვა.

ბოშები

2010 წლიდან მიმდინარეობს ბოშების რეგისტრაციის პროცესი; გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით. განხორციელდა ლენინოვკასა და გაჩიანში მცხოვრები ბოშური მოსახლეობის 265 პირის სარეგისტრაციო ბაზაში შეყვანა; 2014-15 წწ. 61 პირი დარეგისტრირდა, 36 ბოშას დაუდგინდა დაბადების ფაქტი, 27 პირმა მიიღო შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი.

2.6. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად ეთნიკური უმცირესობებისთვის ახორციელებს საინფორმაციო კამპანიას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა არაქართულენოვან სტუდენტებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „1+4“ პროგრამის ბენეფიციარი სტუდენტებისთვის გამოაცხადა ესეების კონკურსი თემაზე „ევროინტეგრაცია და მე“. კონკურსი ითვალისწინებდა ახალგაზრდების მოსაზრებების და

„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ“

მიდგომების წარმოჩენას საქართველოს ევროპულ არჩევანთან მიმართებაში. საკონკურსო კომისიამ გამოავლინა 3 საუკეთესო ნაშრომის ავტორი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ხოლო საუკეთესო სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“. 2014-2015 წწ. მომზადდა საინფორმაციო მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური) და გავრცელდა. საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები და დისკუსიები გაიმართა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან: სტუდენტებთან და უფროსკლასელებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მარნეულის,

ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფერმერებთან; ასევე რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში:

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლები მარნეულში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აბიტურიენტებს შეხვდნენ და უფროსკლასელებს განათლების პროგრამებზე არსებულ სიახლეებსა და "1+4" პროგრამის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია;
- გაიმართა სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ბავშვებმა ქართველი მწერლების ნაწარმოებები, წაიკითხეს;
- აღნიშნულ პერიოდში დაარსდა პროექტი „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“.. პროექტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროსთან ერთად გამართა ლექცია/დებატები, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას;
- ქვემო ქართლში გაიმართა შეხვედრები გოგონათა უფლებების შესახებ; ;
- მარნეულის რაიონის სოფლების საჯარო სკოლებიდან 50 აზერბაიჯანულენოვანი ბავშვი დაესწრო თოჯინების ოპერის თეატრის სპექტაკლს;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალის "ერთი ცის ქვეშ" ფარგლებში გამართა 2 კონცერტი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის ქალაქებში არსებულმა სახელოვნებო სკოლებისა და კულტურის ცენტრებთან არსებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამშემოსულებლო კოლექტივებმა;
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა ლექცია/სემინარები კახეთსა და ქვემო ქართლში ადგილობრივ სტუდენტებთან და გამოაცხადა ფოტოკონსურსი „ჩემი მრავალეროვანი სამშობლო“ ახალგაზრდებისათვის; გამოვლენილი გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ;
- გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მიღება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ქალებმა კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან, ასევე თბილისიდან.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაცია მოსახლეობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თემის ლიდერებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა საკითხის ეფექტიანი მოგვარების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი შუამდგომლობდა სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან; საკითხების ადვოკატირებას ხშირ შემთხვევაში დადებითი შედეგი ჰქონდა.

სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (სამცხე -ჯავახეთი და ქვემო ქართლი) კოორდინირებას უწევდნენ აპარატის მუშაობას რეგიონებში.

მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან.

აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან. სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის ფარგლებში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატს მხარს უჭერდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (UNAG).